## რა ეტაპზე არიან საქართველო და უკრაინა ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმების განხორციელების თვალსაზრისით

*ევროკომისიამ ანგარიშები საქართველოს და უკრაინის მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმების განხორციელების თაობაზე 8 მაისს გამოაქვეყნა. უკრაინისთვის ეს უკვე მეხუთე ანგარიში იყო მას შემდეგ, რაც 2010 წლის ნოემბერში ქვეყანამ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა მიიღო, ხოლო საქართველოსთვის მესამე ანგარიშია 2013 წლის თებერვალში სამოქმედო გეგმის მიღების შემდეგ.*

*ანგარიშებში ის პროგრესია შეფასებული, რომელთაც ქვეყნებმა სამოქმედო გეგმით დასახული ამოცანების შესრულების კუთხით მიაღწიეს მთელ რიგ სფეროებში, რომლებიც მოიცავს დოკუმენტების უსაფრთხოებას; საზღვრის და მიგრაციის მართვას; საზოგადოებრივ წესრიგს, საგარეო ურთიერთობებს და ფუნდამენტურ უფლებებს.*

*ანგარიშები ამ ამოცანებს „შესრულებულად“, „თითქმის შესრულებულად“ ან „ნაწილობრივ შესრულებულად“ აფასებს.*

| ამოცანები | საქართველო | უკრაინა |
|---|---|---|
| დოკუმენტების უსაფრთხოება | შესრულებული | თითქმის შესრულებული |
| საზღვრის ინტეგრირებული მართვა | შესრულებული | თითქმის შესრულებული |
| მიგრაციის მართვა | თითქმის შესრულებული | თითქმის შესრულებული |
| თავშესაფრის პოლიტიკა | ნაწილობრივ შესრულებული | ნაწილობრივ შესრულებული |
| ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა | შესრულებული | ნაწილობრივ შესრულებული |
| ადამიანთა ტრეფიკინგი | ნაწილობრივ შესრულებული | ნაწილობრივ შესრულებული |
| კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა | ნაწილობრივ შესრულებული | ნაწილობრივ შესრულებული |
| ფულის გათეთრება | თითქმის შესრულებული | თითქმის შესრულებული |
| ნარკოტიკები | ნაწილობრივ შესრულებული | თითქმის შესრულებული |

| | | |
|---|---|---|
| სისხლის სამართლის საკითხებში სასამართლო სისტემების საერთაშორისო თანამშრომლობა | შესრულებული | შესრულებული |
| თანამშრომლობა სამართალდამცველ უწყებებს შორის□ | თითქმის შესრულებული | თითქმის შესრულებული |
| პირადი მონაცემების დაცვა | შესრულებული | თითქმის შესრულებული |
| ქვეყნის ფარგლებში გადაადგილების თავისუფლება | შესრულებული | თითქმის შესრულებული |
| სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა | შესრულებული | შესრულებული |
| მოქალაქეთა უფლებები, მათ შორის უმცირესობათა დაცვა | თითქმის შესრულებული | ნაწილობრივ შესრულებული |

**წყარო:** *Civil.ge საქართველოს და უკრაინის მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმების განხორციელების თაობაზე ევროკომისიის მიერ 2015 წლის 8 მაისს გამოქვეყნებულ ანგარიშებზე დაყრდნობით.*